საქართველო
ქალაქ თბილისის მერიის
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity
of Public law of Tbilisi City Hall

თბილისის არქიტექტურის სამსახური
ARCITECTURE SERVICE OF TBILISI

20.01.09 № 07/840

_____ №_____

ამხანაგობა 10 –ის წარმომადგენელს
ნინო ყარალაშვილს

მის: დიღმის მასივი V კვ X კორპ.
ტელ: 855 420217

ქალბატონო ნინო,

თქვენს 09.01.09 №07/840-13 წერილთან დაკავშირებით, რომელშიც ითხოვთ დიღმის მასივი V კვ. X კორპუსის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით კომისიის შექმნასა და საკითხის ადგილზე შესწავლას გაცნობებთ, რომ სამსახურმა განიხილა თქვენი თხოვნა, მოხდა სივრცის ადგილზე დათვალიერება, რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ დაინტერესებაში არსებული ტერიტორია მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში და წარმოადგენს არსებული განაშენიანების საერთო სარგებლობის სარეკრეაციო პოტენციალის მქონე სივრცეს, იგი დაგეგმარებულია როგორც კორპუსის მიმდებარე გამწვანება. აქედან გამომდინარე აღნიშნული ტერიტორიის განკარგვა გეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია მხოლოდ სარეკრეაციო ფუნქციით.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი მ. ავალიანი